საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №107/17

-- 2017 წლის 20 ივნისის № საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მაისის №107/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- უსაფუძვლოდ აჭიანურებს მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეების განხილვას. კერძოდ, მოსამართლის წარმოებაშია ,,--'' ჯგუფთან დაკავშირებული სისხლის სამართლის ორი საქმე ,,--'' და ,,--'' ეპიზოდებზე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე, მუდმივად, სხვადასხვა მიზეზით ხდება პროცესების გადადება. -- შეფასებით, მოსამართლე არ იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა იურიდიულ ბერკეტს რათა დააჩქაროს საქმის არსებითი განხილვა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის -- წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე №-- ბრალდებულ -- და -- მიმართ (--) და სისხლის სამართლის საქმე №-- -- მიმართ (--).

სისხლის სამართლის საქმე №-- მოსამართლე -- არსებითად განსახილველად გადაეცა 2016 წლის 16 ნოემბერს. ამ დროისთვის, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დასრულებულია მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი.

სისხლის სამართლის საქმე №-- მოსამართლე -- არსებითად განსახილველად გადაეცა 2017 წლის 11 აპრილს. ამ დროისთვის, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოკვლეულია ყველა წერილობითი მტკიცებულება და დაკითხულია საქმეში წარმოდგენილი ყველა მოწმე, ერთი მოწმის გარდა.

ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე, ბრალდებულ -- მიმართ არ არის გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე, ვინაიდან -- -- მსჯავრდებულია სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო ბრალდებულ -- მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიების სახე გირაო.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

‘„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ'' ქ/პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს

თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, § 18; *Kart v. Turkey*[GC], § 68). ამდენად, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება უპირველესყოვლისა უზრუნველყოფილია ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე.

კონვენციის განმარტების ფარგლებში დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა განისაზღვრება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: 1) საქმის სირთულით, როგორც საქმის ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი კუთხით (Katte Klitsche de la Grande v. Italy; Papachelas v. Greece); მტკიცებულებების გამოკვლევის მოცულობით (Human v. Poland) და ა.შ. 2) მხარეთა მოქმედებებით, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany), შუამდგომლობებით, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France), ასევე სხვა მოქმედებებით, რაც იწვევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებებით. აღნიშნულს ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა/ჩაუტარებლობის მიმართებით (Pafitis and others v. Greece; Tiece v. San Marino; Sürmeli v. Germany).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლე ხელოვნურად აჭიანურებს საქმის არსებით განხილვას. აღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია შეფასდეს

თუ რამდენად დარღვეულია საქმის არსებითი განხილვისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ,,პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.''

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- სისხლის სამართლის საქმე №-- (--) არსებითად განსახილველად გადაეცა 2016 წლის 16 ნოემბერს. ხოლო სისხლის სამართლის საქმე №-- (--) არსებითად განსახილველად გადაეცა 2017 წლის 11 აპრილს. შესაბამისად, საქმის განხილვის გაჭიანურებაზე მსჯელობა ამ ეტაპზე ვერ განხორციელდება, ვინაიდან, მოქმედი საპროცესო ნორმების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განხილვის 24 თვიანი ვადა არ ამოწურულა.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე №-- (--) დასრულებულია მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე №-- (--) გამოკვლეულია ყველა წერილობითი მტკიცებულება და დაკითხულია საქმეში წარმოდგენილი ყველა მოწმე, ერთი მოწმის გარდა. ამდენად, განსახილველ შემთხვევებში არ იკვეთება მოსამართლის მიერ საქმის განხილვის „უსაფუძვლო“ გაჭიანურების ფაქტი.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების

შესახებ“ საქართველოს კანონის 75[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის
ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75[10]-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75[12]-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №107/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი